ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში მიმდინარეობს 1971-72 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირი, რომელშიც ალმა-ათის, მინსკის, კიშინიოვისა და თბილისის ორი ნაკრები ასპარეზობს.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟში ძალა მოსინჯეს ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნობის სკოლების აღსაზრდელებმა. ამ სურათზეც ნორჩი მძლეოსნების ასპარეზობის ერთი ფრაგმენტია ასახული.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 6 (9417)

10 იანვარი, შაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.


რუბრიკის პრემიერა

## გამარჯვების იუბილე

ისტორიას თავისი კანონები აქვს. სპორტული გამარჯვებები, რომლებიც დღეს გვახარებს და გვაღელვებს, ხვალ და ზეგ ტკბილ მოგონებად იქცევა, მერე და მერე თაობებს გადაეცემა და მარადიულ გამარჯვებად რჩება ხალხის ხსოვნაში. ამჟერიდან პერიოდულად გამოვაქვეყნებთ მასალებს რესპუბლიკის სპორტსმენთა ცალკეულ წარმატებებზე, რომლებსაც „საიუბილეო თარიღი" უსრულდებათ. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოგითხრობთ თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გამარჯვებაზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. წელს სრულდება 25 წელი ამ ღირსსახსოვარი თარიღიდან.

იხ. მე-3 გვ.

# თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით

როგორც ცნობილია, ახლახან გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 45-ე კონფერენცია.

გთავაზობთ დედაქალაქის კომკავშირელთა ფორუმზე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ალავიძის გამოსვლის იმ ნაწილს, რომელიც თბილისში ფიზკულტურულ-სპორტული და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გაუმჯობესებასა და ამ საქმეში კომკავშირის წვლილს ეხება.

ახალგაზრდობა და სპორტი ორი განუყოფელი ცნებაა. ბოლო წლებში თბილისში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მშრომელთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ რამდენადმე პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ამ მოძრაობაში უფრო აქტიურად მონაწილეობენ საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ახალგაზრდებში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებას სერიოზული სიძნელეები ახლავს. სპორტმა დაკარგა პრესტიჟულობა ახალგაზრდებს შორის. ასეთმა მდგომარეობამ ბევრად განაპირობა დიდი სპორტის პრობლემებიც. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ გამოაჩინა ჩვენი ჩამორჩენა ამ საქმეში. აშკარად არასაკმარისი უკუგებით მოქმედებენ ქალაქის საბავშვო და ჭაბუკთა სასპორტო სკოლები. ამ მიმართულებით საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვს კომკავშირს, რომელმაც მეურვეობა უნდა დაუწესოს მასობრივი სპორტის სპეციალისტთა მომზადების საკითხს.

დღეს ჩვენთან თავს იჩენს სპორტის ზოგიერთ სახეობაში საერთო-საკავშირო დონისაგან ჩამორჩენის ძალზე სამწუხარო ტენდენციები. სპორტსმენთა ახლგაზრდა კადრები არ ხდებიან ჩვენი რეკორდსმენების საიმედო ცვლა, თუმცა ამ საქმეს ემსახურება მწვრთნელთა დიდი რაოდენობა, სპორტული სკოლების მოზრდილი რიცხვი. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგალითად, მძლეოსნობაში, ხელბურთში, კალათბურთში, თუმცა აქ ყინული დაიძრა.

საჭიროა კომკავშირის კომიტეტების უფრო აქტიური მონაწილეობა სპორტული მშენებლობის, არსებული ბაზების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. სპორტულ ნაგებობათა საგრძნობი ნაწილი ხშირად დაცარიელებულია იმის გამო, რომ არ ჩანს ამ მუშაობის გეგმიანობა. სასპორტო ბაზებზე თვალსაჩინო აგიტაცია ხშირად პასიურია. ქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებს არ განუსაზღვრავთ თავიანთი მონაწილეობა კულტურულ-სასპორტო კომპლექსების შექმნაში.

ზოგიერთი კომკავშირის კომიტეტი ყოველთვის როდი აკავშირებს ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური აღზრდის საკითხებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურისათვის ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდობის პრაქტიკული მომზადების ამოცანებთან.

საჭიროა კომკავშირმა აქტიურად მოჰკიდოს ხელი ამ პრობლემებს, ისინი მნიშვნელოვნად ჩათვალოს. და მაშინ არ გვექნება საბაბი ვიწუწუნოთ ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციის საინტერესო ფორმების უქონლობაზე, შეუძლისს ჩავეჭიდოთ, რალაც გამოვიგონოთ.

საიდუმლო როდია, რომ ქალაქის ახალგაზრდობა საკმაოდ ხალისიანად არ მიდის ჩვენი ქვეყნის სამხედრო სასწავლებლებში. ამ მიმართულებით მუშაობა არ შეიძლება თვითდინებას მივანდოთ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუღალავად იბრძვიან მშვიდობისათვის, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ძალზე რთულია. ბოლო დროის მოვლენები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რომ მშვიდობის მტრები, იმპერიალისტური წრეები ანგარიშს არ უწევენ რეალობას, ზრდიან დაძაბულობას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

ანგარიში უნდა გავუწიოთ ასეთ მდგომარეობას და წარვმართოთ შესაბამისი განმარტებითი მუშაობა ახალგაზრდობასთან. მაგრამ რა სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა გაწვევის კანონის შემოღების შემდეგ სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი სტუდენტების რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა.

კომკავშირმა ყველაფერი უნდა იღონოს, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ აამაღლოს სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დონე ადგილებზე. საჭიროა მნიშვნელოვანი ძალ-ღონე მოვახმაროთ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რაიონული კომიტეტების საქმიანობის გააქტიურებას, მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპორტულ-ტექნიკური კლუბების ფართო ქსელის, სასროლი ტირის შექმნას, უკეთ გამოვიყენოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ზრუნვისა და გულისხმიერების მაქსიმუმი გამოვიჩინოთ მათდამი.

ცნობები - მკითხველი

● კრიუში მსოფლიო ჩემპიონმა, კუიბიშეველმა ვასილი შიშოვმა პირველად დაისაკუთრა „ოქროს ხელთათმანი". ამ საპატიო პრიზს პოლონეთის სპორტული გაზეთის „პშეგლენდ სპორტოვის" რედაქცია და სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის კრივის კომისია ტრადიციულად ყოველი ახალი წლის დამდეგს ანიჭებს გასული წლის რინგის საუკეთესო ოსტატს.

● მოლდავეთის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის ზამთრის არდადეგების დღეებში ტარდება მასობრივი შეჯიბრებები დევიზით — „ყველანი სტარტზე!" ფრენბურთში, კალათბურთში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ტყვიის სროლაში და სპორტის სხვა სახეობებში გამართულ ასპარეზობებში 50 ათასი მომავალი მუშა მონაწილეობს. წელს აღსაზრდელებთან ერთად შეჯიბრებაში ჩაება 2500 მასწავლებელი და ოსტატი.

# ვასილ მახარაძე — გამარჯვებული

საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილებით წლევანდელი სეზონიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეზერვის მომზადებას. როგორც სპორტსახკომში აღინიშნა, ძირითადად მომზადების პირველ ეტაპებზე დაშვებული შეცდომების გამო ბევრი მოზარდი იკარგება „დიდი სპორტისათვის". ახლა იქმნება რეზერვები ნაკრები გუნდებისათვის. სპორტსმენთა დაოსტატების ყველა ეტაპზე, დაწყებული ბავშვთა ასაკიდან, სულ უფრო ხშირდება შეჯიბრებები სარეზერვო გუნდების კანდიდატთა გამოსავლენად.

ლენინგრადში გაიმართა ნორჩ მძლეოსანთა საკავშირო პირველობა, რომელზეც მიწვეული იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკების პერსპექტიული მოზარდები (1970-1971 წწ. დაბადებულნი). შეჯიბრება ახალი დებულებით ჩატარდა. ყველა მონაწილე სამჭიდის პროგრამით გამოდიოდა.

მრავალმხრივი მომზადება გამოავლინა თბილისელმა მძლეოსანმა ვასილ მახარაძემ, იგი ხტომის სამჭიდში გამოდიოდა და დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსკოლის მოსწავლემ ძირითად სახეობაში — სიგრძეზე ხტომაში 686 სმ დასძლია, შემდეგ კარგად გაირბინა 60 მეტრი — 6,8, სიმაღლეზე ხტომაშიც დამაკმაყოფილებელი შედეგი (175 სმ) აჩვენა და, როგორც უკვე ითქვა, ყველა თანატოლი ჩამოიტოვა. მეტოქე კი მახარაძეს ცოტა როდი ჰყავდა, ამ სახეობაში საასპარეზოდ 59 სპორტსმენი გამოვიდა.

ვასილ მახარაძე (მწვრთნელები თეიმურაზ რონიშვილი და ალექსეი ალექსეევი) ჩაირიცხა მოზრდილთა სარეზერვო ნაკრებში სიგრძეზე ხტომისა და თარჯრბენის ჯგუფში.

ლელო



ჩვენი გაზეთის საგუშაგო ლანჩხუთში

შაბათიდან — შაბათამდე

## სირთულეების დაძლევით...

ლანჩხუთი, 9 იანვარი, ტელეფონით. უკვე მთელი კვირაა, ლანჩხუთში, ისევე როგორც საქართველოს ბევრ რეგიონში, ამინდი ჭირვეულობს. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები გრაფიკის მკაცრი დაცვით მიმდინარეობს.

დღეისათვის უკვე დამთავრებულია აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ტრიბუნების საძირკვლის ჩაბეტონება. აქ მონდომებით შრომობდნენ ტრესტ „კოლხიდმშენის" ლანჩხუთის № 3 მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროსი თ. აფხაზავა, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ებრალიძე), მშენებლობის სამინისტროს მე-10 ტრესტის ლანჩხუთის № 2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი თ. იმნაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ჩარკვიანი) და „საქჰიდროენერგომშენის" ჯვრის სამმართველოს მუშაკები.

დღეს გრაფიკის გასწრებით დაიწყეს ჩრდილოეთ ტრიბუნაზე რკინა-ბეტონის ფილების დაგება. ამ სამუშაოს აწარმოებს აგრომშენის ლანჩხუთის 70-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი რ. ორაგველიძე). ასევე მაღალი ტემპით მიმდინარეობს დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ტრიბუნების სარემონტო, აგრეთვე გასახდელების, საშხაპეების, სანიტარიული კვანძების კეთილმოწყობის სამუშაოები. ამ უბანზე თავი გამოიჩინეს აგრომშენის ცხაკაიას № 2 ტრესტის წარმომადგენლებმა (მმართველი ო. გაბედავა).

კვლავ გვინდა აღვნიშნოთ თბილგვირაბმშენის № 9 საგვირაბო რაზმის კარგი მუშაობა (უბნის უფროსი ჯ. მიქაბერიძე, სამუშაოთა მწარმოებელი მ. ლომიტაშვილი). გვირაბმშენებლები გრაფიკის გასწრებით ამ კვირას დაამთავრებენ განათების ანძების საძირკვლის ჩასხმას. გაითვალისწინეს რა შექმნილი მდგომარეობა, მათ გადაწყვიტეს თვითონვე ამოიყვანონ ტაბლოს საძირკველიც, გვირაბმშენებელთაგან თავი ისახელეს მოწინავე მუშებმა, მებეტონეებმა ნ. გვიჩინაშვილმა, ს. ტაბატაძემ, რ. ჩადუნელმა და სხვებმა.

ორშაბათს საქსპეცმონტაჟის ქუთაისის სამმართველო (უფროსი ნ. კვიტაშვილი) დაიწყებს აღმოსავლეთი ტრიბუნების მეტალის კონსტრუქციების მონტაჟს. კონსტრუქციების შეუფერხებლად მოსაწოდებლად ყველაფერს აკეთებს მახარაძის რკინა-ბეტონის ქარხნის კოლექტივი (დირექტორი რ. თავართქილაძე). ეს ქარხანა ყოველდღიურად 50 ბეტონ ფილას მიაწოდებს მშენებლებს, რათა სამუშაოები დროულად შესრულდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანაში მხოლოდ 24 ყალიბია, კოლექტივი რთული ამოცანის წინაშე დგას. რუსთავის მეტალკონსტრუქციების ქარხანას (დირექტორი გ. დოლიძე) უნდა დაემზადებინა საჭირო კონსტრუქციები. კოლექტივმა პირობა შეასრულა — საღეისოდ დაკვეთა შესრულებულია, მაგრამ ჭიანურდება მზა მასალის ტრანსპორტირება. რკინიგზის ერთი ვაგონი რვა დღეს მოუნდა ლანჩხუთში ამ მასალის ჩატანას, ასეთი ტემპი კი მომავალში მშენებელთა მოცდენას გამოიწვევს. ამას ახლავე უნდა დაფიქრება. მისაღებია გადამჭრელი ზომები.

# ბევრი რამ შევიცანი

**1926 წლის 22 დეკემბერს საფრანგეთის სპორტული კავშირის მიწვევით ამ ქვეყანაში ჩავიდნენ მოსკოვის ფეხბურთელები, რომლებიც 28 დეკემბერს პარიზში „პერშინგის" სტადიონზე შეხვდნენ მასპინძელთა გუნდს. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 5:0. სწორედ ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტულ კონტაქტებს. და აი, 1986 წლის 22-24 ოქტომბერს, საფრანგეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თაოსნობით პარიზში საზეიმოდ აღინიშნა ამ მეგობრული ურთიერთობის დამყარების 60 წლისთავი და მოეწყო სამეცნიერო კოლოკვიუმი. საბჭოთა დელეგაციაში (ოცი დელეგატი) სპორტული მედიცინის ექვსი წარმომადგენელი იყო, აქედან სამი თბილისიდან: ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, დოცენტი დიმიტრი წვერავა, ამავე კათედრის ასისტენტი მანონ ლორია და ამ წერილის ავტორი.**

**კოლოკვიუმის** მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობდა. ჩვენ ვმონაწილეობდით მეცნიერებისა და სპორტული მედიცინის სექციის მუშაობაში, რომელსაც პარიზის სპორტული მედიცინის ცენტრის მთავარი ექიმი ი. კარლშტეინი ხელმძღვანელობდა. პირველ დღეს დ. წვერავამ გააკეთა მოხსენება თემაზე — „საცხენოსნო სპორტი, როგორც სქოლიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საშუალება". მ. ლორიას მოხსენების თემა იყო „საექიმო პედაგოგიური დაკვირვების პრობლემები", ჩემი მოხსენებისა: „ფუნქციური მაჩვენებლებისა და ფიზიკური მუშაობისუნარიანობის მონაცემები მაღალკვალიფიციურ ფეხბურთელებზე მრავალწლიან დაკვირვებათა შედეგების მიხედვით". ამ მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიმართა.

ფრანგები მეტად დაინტერესა დ. წვერავას მოხსენებამ. მათთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრაზე, საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა საცხენოსნო სპორტით სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდები. ითქვა, რომ ეს მოხსენებები ყურადსაღები იყო როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს ინფორმაციები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამედიცინო მომსახურების, ამ დარგში მომუშავე მედპერსონალის მომზადების შესახებ. დაინტერესდნენ, რა ტიპის სამეცნიერო დაწესებულებები ეწევიან კვლევით მუშაობას სპორტულ მედიცინაში. საუბარი წარიმართა კითხვა-პასუხის წესით: ისინი გვეკითხებოდნენ, ჩვენ ვპასუხობდით. კოლოკვიუმის მონაწილეებს ვუამბეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებული, უნიფიცირებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც მეცადინეობა იწყება ორი თვის ასაკიდან და თანმიმდევრულად ტარდება სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომ არსებობს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, რომელთაც მეურვეობენ განათლების ორგანოები ან სპორტული საზოგადოებები, რომ ჩვენში მომეცადინეებზე დაწესებულია მეცნიერულად დასაბუთებული საექიმო კონტროლი, რომ საბჭოთა კავშირში სპორტს ემსახურება 500-მდე საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი და ა. შ. ვთქვით ისიც, რომ მარტო თბილისში ოთხი ასეთი დისპანსერია. საბჭოთა კავშირში კი პირველად ჩვენს ქალაქში გაიხსნა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი.

საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ სტუმრებმაც. შევიტყვეთ, რომ იქ სპორტული მედიცინა ძირითადად იფარგლება სპორტსმენთა დაავადებებისა და ტრავმების მკურნალობით, სპორტსმენებს ემსახურებიან ექიმი-სპეციალისტები: ქირურგები, გინეკოლოგები, კარდიოლოგები და ა. შ. დღეისათვის საფრანგეთში მუშაობს 15000 სპორტული ექიმი, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს სამედიცინო ინსტიტუტებში.

მიგვიწვიეს პარიზის სპორტული მედიცინის ცენტრის დასათვალიერებლად, რომელიც ბავშვთა სარეანიმაციო ცენტრის ბაზაზე მუშაობს. ვიყავით პარიზის ფიზკულტურის ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი ქალაქგარეთ მდებარეობს და 34 ჰექტარი უჭირავს. აქვს შესანიშნავი სპორტული ბაზები, მოედნები, საცურაო აუზები. ინსტიტუტთან შექმნილია ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელშიც მოზარდებს 15 წლის ასაკიდან იღებენ. ვინც აქ ერთი წლის მანძილზე თავს ვერ გამოიჩენს, ის ტოვებს სკოლას, ნიჭიერი მოზარდები კი სწავლას აგრძელებენ და შემდეგ სწორედ ამ კონტინგენტით ხდება ფიზკულტურის ინსტიტუტის დაკომპლექტება. ინსტიტუტი სამი პროფილის სპეციალისტებს ამზადებს. აქ დანერგილია სპორტის 24 სახეობა, სწავლობს 750 სტუდენტი, მუშაობს 500 პროფესორ-მასწავლებელი. სხვათა შორის, ინსტიტუტის სპორტულ ბაზებზე ყოველდღიურად ვარჯიშობს 2000 სპორტსმენი. აქვეა სამედიცინო-ბიოლოგიური განყოფილება, რომელსაც 13 ექიმი და 15 მასაჟისტი ემსახურება.

კოლოკვიუმის მსვლელობისას ჩვენ საშუალება გვქონდა სხვა სექციების მოხსენებებიც მოგვესმინა. დაგვაინტერესა მოხსენებამ, რომელიც სპორტის სოციალურ ფაქტორს ეძღვნებოდა. ფრანგები ამ მიმართულებით დაკვირვებას 1966 წლიდან ეწევიან. დადგინდა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საფრანგეთში მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის დამოკიდებულება სპორტისადმი. ახლა ამ ქვეყანაში ნამდვილი სპორტული ბუმია. მაგალითად, თუ 1966 წელს ვარჯიშობდა მოსახლეობის 13 პროცენტი, 1983 წელს ეს რიცხვი სამჯერ გაიზარდა, ხოლო 1985 წლის გამოკვლევით საფრანგეთში 12-დან 80 წლამდე ასაკის მოსახლეობის 75 პროცენტი ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს. ორჯერ გაიზარდა ინდივიდუალურად მოვარჯიშეთა რიცხვი, იმატა ჯგუფებში მომეცადინეთა რაოდენობამაც. ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის ხელშემწყობ ფაქტორებად მათ მიაჩნიათ ის, რომ ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სახის ტრენაჟორები, ველოსიპედი და ა. შ. მათი აზრით, ფიზკულტურითა და სპორტით დაინტერესება განაპირობა პირველ ყოვლისა — „ჯანმრთელობის ფაქტორმა". გარდა ამისა, როგორც აღნიშნეს, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ლტოლვას ლამაზი აგებულებისადმი, ათლეტური გარეგნობისადმი. ახალგაზრდებს სურთ იყვნენ ძლიერები, თავდაცვისუნარიანები.

ამჟამად საფრანგეთში ყველაზე პოპულარული სახეობებია ცურვა, ჩოგბურთი და სამთო-სათხილამურო სპორტი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სახეობები ხელმისაწვდომია უმეტესად პრივილეგირებული ფენებისათვის. მუშათა კლასის წარმომადგენლები კი უფრო ფეხბურთს ეტანებიან.

მოსახლეობის ნაწილი ფიზკულტურაში მხოლოდ შვებულების პერიოდში მეცადინეობს. საინტერესოა სპორტში მოვარჯიშე მამაკაცთა და ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. 1968 წელს თანაფარდობა ასეთი იყო: 8 მამაკაცი და 1 ქალი, 1978 წელს — 3 მამაკაცი და 1 ქალი, ახლა კი მდგომარეობა თითქმის თანაბარია.

კოლოკვიუმის ბოლო დღე დაეთმო მასობრივი სპორტის პრობლემებს, სპორტში პროფკავშირების თანამშრომლობის მნიშვნელობას, კადრების მომზადებისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებს.

ფრანგებმა თქვეს, რომ ბევრი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. ეს არის სამეცნიერო ინფორმაციის თარგმნა, სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური კულტურა, სპორტული ექიმების, მწვრთნელებისა და ფიზაღზრდის მასწავლებლების მომზადება, რეგულარული საექიმო კონტროლი, კვლევის შედეგების პრაქტიკული ხორცშესხმა, სპორტში ადრეული სპეციალიზაციის, სრულყოფილი სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხები.

მასპინძლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლოკვიუმის მსვლელობისას მიღებულ ინფორმაციას, რომ ამ კოლოკვიუმმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენს შემდგომ ურთიერთობას. ითქვა, რომ ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობს არა მარტო მეცნიერების განვითარებას, არამედ ჩვენი ხალხების ბრძოლასაც მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისათვის.

კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გამოცდილების გაზიარება, სპორტსმენების, მწვრთნელების, სპორტული მედიცინის სპეციალისტების გაცვლა-გამოცვლა, კოლოკვიუმების ხშირად მოწყობა.

დავათვალიერეთ ქალაქები რუანი და სან-ლო. სან-ლომ მოგვხიბლა იმითაც, რომ აქ ამ პატარა ქალაქს (25000 მცხოვრები) აქვს 5 კომპლექსური სპორტული ობიექტი, ტანვარჯიშის, ჭიდაობის ყველა სახეობის, კრივის, ძალოსნობის, ჩოგბურთის დარბაზები, აქ არის აგრეთვე 10 საფეხბურთო მოედანი, 1 რეგბის, 2 მძლეოსნობის სტადიონი, 18 სხვადასხვა სახის სპორტული მოედანი, ველოდრომი, იპოდრომი, 2 აუზი, 2 ჩოგბურთის ცენტრი 4-4 კორტით, საცხენოსნო სპორტის ცენტრი, კროსის 2 ტრასა, 1 გოლფის მოედანი. ყველა ეს სპორტული ობიექტი შესანიშნავად არის მოვლილი. აქ არის სპორტული მედიცინის ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი-კარდიოლოგი. იგი ამ ქალაქის მერის მოადგილეა და ფინანსებს განაგებს, როგორც გადმოგვცეს, ექიმი დიდ ყურადღებას აქცევს სპორტს. მასობრივ ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთათვის შემოღებულია სააბონემენტო სისტემა, გაჯანსაღების მსურველი წელიწადში იხდის 600 ფრანკს და კვირაში სამჯერ ვარჯიშობს ქალაქის სპორტულ ბაზებზე.

კოლოკვიუმის მუშაობას ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა.

**ოთარ ვირუბოვი,**
**თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარი ექიმი, დოცენტი.**

---

**ლახტის წრეში**

## ხელს უშლიდა?!

### „სახლიც შენია, ეზოც შენია, მოუარე, დაამშვენე!"



**ოქტომბრის ქუჩის № 39 სახლის ეზოს დიდი ასოებით დაწერილი ასეთი მოწოდება ამშვენებს, იქვე ამოვიკითხეთ წარწერა: „საცხოვრებელი სახლი სანიმუშო მობინადრეებით".**

**ამ სახლში მართლაც სანიმუშო მობინადრეები ცხოვრობენ. წლების წინათ ეზოში სკვერი გააშენეს, არც დიდ სამამულო ომში დაღუპულები დავიწყნიათ და იქვე შინმოუსვლელთა მემორიალიც მოაწყვეს. სპორტის მოყვარულთათვის მოასფალტებულ ეზოში კალათბურთის დგარებიც დააყენეს და ზედ ფარები ჩამოკიდეს. ამ სარბიელზე არა მარტო ბავშვები, უფროსებიც ხშირად გვინახავს, მაგრამ გავიდა დრო და...**

**ახლახან ამ ეზოში გულსაკლავი სურათი ვიხილეთ — ერთი დგარისთვის ფარი ჩამოუძვრიათ, მეორე რკინის დგარი კი ძირში გადაუჭრიათ.**

**— ამ სარბიელზე წინათ არა მარტო ჩვენი, მეზობელი სახლების მობინადრეებიც იკრიბებოდნენ, ვთამაშობდით, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, — გვითხრა 112-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა შოთა ვარსიმაშვილმა. — მაგრამ, ხომ ხედავთ, ახლა რა დღეშია. პირველ სართულზე მდებარე მე-9 გასტრონომის მომმარაგებლებს სატვირთო ავტომობილები ეზოდან შემოჰყავთ. ისინი მანევრირებისათვის თავს არ იწუხებენ, პირდაპირ კალათბურთის ფარებს ეჯახებიან. რამდენჯერაც აღვადგინეთ (სხვათა შორის, სახლმმართველობაც ბევრჯერ დაგვეხმარა), იმდენჯერ მოგლიჯეს. ერთ მშვენიერ დღეს კი ადგნენ და ერთი დგარი ძირში გადახერხეს.**

**რედაქცია მობინადრეებთან ერთად პასუხს ლენინის რაიონის რაისაბჭოს აღმასკომიდან დაელოდება.**

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

ავტორის ფოტო.

---



## იწყება მეორე წრე

**მალე თბილისის ცირკში განახლდება სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გაგაცნობთ II წრის შეხვედრათა კალენდარს.**

**17 იანვარი.** წილკანი (მცხეთა) — ვაყა (ხაშური); გიორგიწმინდა (საგარეჯო) — თემქა (თბილისი).

**24 იანვარი.** ხოვლე (კასპი) — ძველი რუსთავი; სანიორე (თელავი) — გლდანი (თბილისი).

**31 იანვარი.** ციხისუბანი (გორი) — საფიჩხია (ქუთაისი); ქისტაური (ახმეტა) — ორთაჭალა (თბილისი).

**7 თებერვალი.** ხვედურეთი (ქარელი) — მარტყოფი (გარდაბანი); ბაზალეთი (დუშეთი) — დიღომი (თბილისი).

---

## სიახლეთა ესტაფეტა

შარშან შემოდგომაზე საქვეყნოდ განთქმული ბაქოს ზღვის სანაპიროს კულტურისა და დასვენების პარკის მთავარ შესასვლელთან ახალი აზრა გაჩნდა. პარკის მთელი ტერიტორია და მისი ობიექტები კულტურულ-სპორტული კომპლექსის შემადგენელ ნაწილად იქცა. მაინც რა ობიექტებზეა ლაპარაკი? ეს არის სპორტის სასახლე, თოჯინების თეატრი, ჩოგბურთის კორტები, ბავშვთა ავტოქალაქი, აფროსნობის კლუბი, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ცენტრი, ატრაქციონები, ჯანმრთელობის ბილიკები, სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტი და ა. შ. ახალი წლიდან კულტურულ-სპორტული კომპლექსის ბევრი ობიექტი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა.

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ლანჩხუთი

**მოეწყო რაიონის პირველობა ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 17 გუნდი.**

**პირველი ადგილის გასარკვევად ერთმანეთს შეხვდნენ ნიგოითის საბჭოთა მეურნეობისა და ლესის კოლმეურნეობის გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ნიგოითელმა ფეხბურთელებმა (მეურნეობის დირექტორი ნ. ფირცხალაიშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტი თ. კუცია).**

**ვაჟა ცინცაძე.**

### სამტრედია

„ლოკომოტივის" სპორტულ დარბაზში ჩატარდა ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს პირველობა ფრენბურთში ვაჟთა შორის. ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ერევნის, სამტრედიის განყოფილებათა რაისაბჭოების და სამტრედიის სპორტკლუბ „იმერეთის" ნაკრები გუნდები, ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით, ერთ წრედ ჩატარდა.

ქვეჯგუფებში პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სამტრედიისა და ერევნის რაისაბჭოების ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს სამტრედიელმა ფრენბურთელებმა. მესამე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში თბილისის რაისაბჭოს ნაკრებმა სძლია სამტრედიის სპორტკლუბ „იმერეთის" ნაკრებს.

**„ლელოს" კორ.**

### თერჯოლა

**აქ გაიმართა სარაიონო ტურნირი ფეხბურთში სამრეწველო ორგანიზაციების გუნდებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გაზის კანტორისა და მაუდის ფაბრიკის გუნდები.**

**გადამწყვეტი მატჩი დამთავრდა გაზის კანტორის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 4:1.**

**ვანო კუტალაძე.**
**„ლელოს" კორ.**

### ყვარელი

რაიონის სოფელ ჭიკაანის ახლადგახსნილ კულტურის სახლში ჭადრაკისა და შაშის წრის წევრების მონაწილეობით მოეწყო პირველი ტურნირი 64-უჯრედიან შაშში. 12 შესაძლებლიდან 10-10 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ავთო თათრიშვილმა და შალვა კაკაშვილმა.

**ივანე ლელაძე.**

# ვალენტინ გრანატკინის მემორიალი

**ლენინგრადის** სპორტულ-საკონცერტო კომპლექსის დახურულ დარბაზში დაიწყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვალენტინ გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. წლევანდელი შეჯიბრება რიგით მეშვიდეა, მასში მონაწილეობენ 18 წლამდე ასაკის ჭაბუკები.

7 იანვარს ბრძოლაში ჩაებნენ სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდები. ტურნირში დაწესებულია ყოველკვირეული გამოცემა „ნედელიას" პრიზები.

ტურნირის სასტარტო დღეს გაიმართა 3 მატჩი. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა გდრ-ის გუნდი, ჩვენმა მეორე ნაკრებმა შვეციის გუნდს მოუგო ანგარიშით 3:1, ხოლო საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა დაძაბულ ბრძოლაში წარმატება წილად ხვდათ ფრანგებს — 2:0.

სსრ კავშირის I ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები: კალატოზიშვილი და თედეევი, ხოლო მეორე ნაკრების შემადგენლობაში — სოხუმელი არუთინიანი და ლენინგრადელი ოყროშიძე.

# ფეხბურთი ყინვაში

**ბონი, 9 იანვარი.** მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე 15-გრადუსიან ყინვაში 2.500 მაყურებელი დაესწრო ადგილობრივი „ბაიერნისა" და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა საჩვენებელ მატჩს.

თამაში დამთავრდა „ბაიერნის" გამარჯვებით — 3:2 (2:1). კიეველთაგან ბურთები გაიტანეს ევტუშენკომ და იაკოვენკომ.

# იმსაჯებს იტალიელი ლუიჯი ანოლინი

**ცნობილია**, რომ 24 თებერვალს მონაკოში გაიმართება ევროპის სუპერთასის მატჩი ბუქარესტის „სტიაუასა" (ჩემპიონთა თასის მფლობელი) და კიევის „დინამოს" (თასების მფლობელთა თასი) შორის.

უეფა-ს მსაჯთა კომიტეტმა დანიშნა სუპერთასის მატჩის მსაჯი — იტალიელი ლუიჯი ანოლინი.

# ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე

**ბრაზილიის** ქალაქებში სან-პაულუსა და სანტოსში გრძელდება ბრაზილიის, ურუგვაის, არგენტინის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია პირველ ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებს.

სანტოსში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდები, წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ მონაწილეობა მიიღო პირველ მატჩში იტალიის ნაკრებთან, შემდეგ კი ბრაზილიიდან გაემგზავრა თავისი ფირმის საქმეებზე. ეს მაშინვე დაეტყო ტურნირს: ბრაზილიელთა პირველ მატჩს ესწრებოდა 60 ათასი მაყურებელი, მეორეს კი მხოლოდ 15.



## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### კარეკა № 1

ანტონიო ოლივეირა ფილიო, რომელსაც სპორტული სამყარო კარეკას ფსევდონიმით იცნობს, ბრაზილიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს. 26 წლის კარეკა „სან-პაულუში" თამაშობს.

### მატეუსი „ბაიერნში" რჩება

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ლოტარ მატეუსმა, რომელსაც უცხოეთის მრავალი კლუბი ეპოტინებოდა, გადაწყვიტა მიუნჰენის „ბაიერნში" დარჩეს. მისი ახალი კონტრაქტი 1990 წლამდე გრძელდება.

### ჰაპელის ახალი ხელშეკრულება

ცნობილი ავსტრიელი ფეხბურთის სპეციალისტი ერნსტ ჰაპელი, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე „ჰამბურგერ შპორტფერაინს" ავარჯიშებდა, 3 წლით მიემგზავრება არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, სადაც ერთ-ერთ საკლუბო გუნდს ჩაუდგება სათავეში.

### ფედერაციას სარჩელი წარუდგინეს

ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებიც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაშავდნენ, სარჩელი აღძრეს ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და მას ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვეს. ამ ჯგუფს შეუერთდა ესპანეთის „ბარსელონაში" მოთამაშე გერი ლინეკერიც, რომელიც დეკემბერში ევროპის პირველობაზე გამართულ ინგლის-იუგოსლავიის მატჩში დაშავდა.

### დიდი ვალი აქვს

როგორც ბერლინის ყოველკვირეული „ფუვო" იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედს" 1986 წლის ბოლოსთვის დიდი ვალი დაედო (3 მილიონ მარკა გდრ-ის ფულის ერთეულზე გადაანგარიშებით), საკვირველი ის არის, რომ ინგლისის გუნდებიდან ყველაზე მეტი — საშუალოდ 46 321 მაყურებელი თითოეულ მატჩზე — სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰყავს.

### დანიაში საუკეთესოა მ. ოლსენი

დანიის 1986 წლის სეზონის № 1 ფეხბურთელად ექსპერტებმა 37 წლის მორტენ ოლსენი აღიარეს. ოლსენმა დანიის ნაკრებში ყველაზე მეტი — 87 მატჩი ითამაშა. დანიის საუკეთესო ფეხბურთელად იგი პირველად 1983 წელს დაასახელეს.

### გაკოტრებული ჩემპიონი

**დამთავრდა** ურუგვაის ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა მონტევიდეოს „პენიაროლმა", ხოლო მეორე ადგილზე „ნასიონალი" გავიდა.

ამ ორი პროფესიული კლუბის ქიშპობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ურუგვაის პრესის ყურადღებას ის ამბავი იპყრობს, რომ სულ ახლახან „პენიაროლმაც" და „ნასიონალმაც" გაკოტრებულად გამოაცხადეს თავი და ოფიციალურად განაცხადეს, რომ ფინანსური მიზეზებით ვერ დაამთავრებენ ჩემპიონატს. მაშინ საქმეში ჩაერია ურუგვაის ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია, ორივე გუნდს შესაძლებლობა მისცეს დაემთავრებინათ გათამაშება, მაგრამ „პენიაროლისა" და „ნასიონალის" შემდგომი ბედიღბალი ჯერ კიდევ გაურკვეველია: ორივე კლუბს 3 მილიონი დოლარი ვალი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამარჯვების იუბილე

# მატჩი-მწვერვალი!

## წელს ქართულ კალათბურთს ყველაზე დიდი წარმატების თავისებური იუბილე აქვს

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის V გათამაშება, რომელშიც თავდაპირველად ოცდასამი გუნდი მონაწილეობდა, 1961 წლის 18 ნოემბერს დაიწყო და მომდევნო წლის 29 ივლისს დამთავრდა. ვინაიდან ტურნირში მონაწილე გუნდების რიცხვი კენტი იყო, ზოგიერთი კლუბი (მათ შორის თბილისის „დინამოც") ასპარეზობაში მერვედფინალიდან ჩაერთო.

ახლა თავად ტურნირის შესახებ და იმ გზაზე, რომელიც ფინალისტებმა ჟენევის მატჩამდე განვლეს.

გათამაშების პირველ ეტაპზე მოულოდნელი, ცხადია, არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი მთავარი მეტოქე მადრიდის „რეალი" მეთექვსმეტედფინალში მაროკოს ჩემპიონს „კასაბლანკას" შეხვდა და ორივე ბრძოლა დიდი უპირატესობით მოიგო — 82:38 (შინ) და 84:46 (სტუმრად). მაგრამ „რეალი" კენჭისყრამ ქვედა ჯგუფში მოახვედრა და მას თბილისელები უკეთეს შემთხვევაში ფინალში თუ შეხვდებოდნენ. ამიტომ მეტი ყურადღება გადატანილი იქნა მეორე საბჭოთა გუნდზე — მოსკოვის ცსკა-ზე, რომელიც ჩვენს მეზობლად იყო „განთესილი" და როგორც წინა გათამაშებაში გამარჯვებული, ასპარეზობას მეოთხედფინალიდან იწყებდა.

პირველ ეტაპზე თამაში არ მოუხდა ჩვენს მომავალ მეტოქეს რუმინეთის კკა-საც (კენჭისყრამ, როგორც ჩანს, ისიც „შეიწყალა"). ამიტომ მერვედფინალური შეხვედრის წინ ორივე გუნდი ერთნაირ პირობებში აღმოჩნდა. თბილისის „დინამოსა" და რუმინეთის კალათბურთელთა პირველ მატჩში მძაფრი ბრძოლა გაიმართა, დინამოელებმა სტუმრად მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს — 77:76, შინ კი უფრო თავდაჯერებულად თამაშობდნენ, მაგრამ უდავოდ ძლიერ და დაუმორჩილებელ მეტოქეს დიდი ანგარიშით მაინც ვერ აჯობეს — 82:77.

მადრიდის „რეალს" იტალიის „ინისის" სახით არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა (ამ კლუბმა სახელი მოგვიანებით გაითქვა, როცა გუნდში ამერიკელი კალათბურთელები მოიწვია). ესპანელებმა ორივე შეხვედრა იოლად მოიგეს და თბილისის „დინამოს" მსგავსად მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მეოთხედფინალური ტურნირის პირველი სენსაცია მოსკოვის ცსკა-სა და ჩეხოსლოვაკიის „ისკრას" კალათბურთელთა შეხვედრაში მოხდა, არმიელებმა, იქნებ იმიტომ, რომ პირველი შეხვედრა შინ დიდი უპირატესობით მოიგეს (85:53), განმეორებითი მატჩის ბედი სათადარიგო შემადგენლობას მიანდეს. ასე იყო თუ ისე, ცსკა დამარცხდა — 55:57. ერთი უცხოელი ჟურნალისტის მოსწრებული თქმით: „თასის მფლობელმა თავის განაჩენს თვითონვე მოაწერა ხელი".

თბილისელებმა ორივე შეხვედრა მოუგეს თურქეთის ჩემპიონს, სტამბულის „დარუშაფაკს" (80:67, 84:48) და ნახევარფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა „რეალმაც", რომელმაც პირველი მატჩი ვარშავის „ლეგიასთან" წააგო — 62:73 (მეორე შეხვედრაში „რეალის" უპირატესობა აშკარა იყო — 100:71).

პირველი ნახევარფინალური წყვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამომ" და ცსკა-მ შეადგინა. „რეალს" ნახევარფინალში უფრო ადვილად დასაძლევი მეტოქე — იუგოსლავიის „ოლიმპია" შეხვდა.

ცსკა-ს სპორტული დარბაზი იმ დღეს ხალხს ვერ იტევდა. გეგონებოდათ, ძველი მეტოქეების თამაშის სანახავად მთელი მოსკოვი მოსულაო, შეხვედრის პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 37:37. თბილისელთათვის ეს კარგი ნიშანი იყო. შესვენების შემდეგ დინამოელები დაწინაურდნენ და თითქმის მთელი 20 წუთის მანძილზე 3-4-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებდნენ. მართალია, მოსკოვის არმიის კლუბს მაშინ ძლიერი გუნდი ჰყავდა, მაგრამ ზუბკოვმა, ტრავინმა, ვოლნოვმა, კორნეევმა და ლიპსომ ვერაფერი იღონეს. დინამოელები თავგანწირულად თამაშობდნენ და პირველი მატჩიც მათ მოიგეს — 75:71.

განმეორებით შეხვედრაში ცსკა, რევანშის წყურვილით შეპყრობილი, ვერაფერს გახდა, თბილისის „დინამომ" დაამარცხა ერთ-ერთი მთავარი მეტოქე (77:66) და ფინალის საგზური მოიპოვა.

„ოლიმპიამ" ლიუბლიანაში 14 ქულით აჯობა „რეალს" (105:91), მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. ესპანელებს მაშინ განმეორებითი შეხვედრის დიდოსტატებს უწოდებდნენ და სხვათა შორის, არც თუ უსაფუძვლოდ. მადრიდში „რეალმა" რევანში აიღო და ზუსტად იმდენი ქულა მოაგროვა, რამდენიც ფინალში გასასვლელად იყო საჭირო — 69:53.

რას წარმოადგენდა ესპანეთის მაშინდელი ჩემპიონი? რაში იყო ამ ფართოდ რეკლამირებული გუნდის ძალა? ერთხელ „რეალის" მწვრთნელმა პ. ფერნანდისმა საჯაროდ თქვა, როცა ჩვენი ზანგები ბრძოლის გუნებაზე არიან, ვერავინ მოგვიგებსო. მწვრთნელს მხედველობაში ჰყავდა ამერიკელი კალათბურთელები: 21 წლის უეინ ჰაიტაუერი (სიმაღლე 205 სმ) და მასზე ორი წლით უფროსი სტენლი მორისონი (202 სმ). ჰაიტაუერი წინა სეზონში კანზასის უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. აშშ-ის სტუდენტთა კალათბურთი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ „რეალის" ადმინისტრაციამ ახალგაზრდა ვარსკვლავს დიდძალი თანხა შეაძლია და ევროპაში გადაიბირა. ჰაიტაუერი და მორისონი მართლაც დიდ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონს სხვა, მაღალი კლასის კალათბურთელებიც ჰყავდა, რომელთაგან სამი (კორტესი, სევილიანი და როდრიგესი) ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყო... აი, ასეთი მეტოქე ჰყავდა თბილისის „დინამოს" 29 ივნისის იმ ღირსსახსოვარ დღეს...

ახლა კი გაგაცნობთ ფინალური მატჩის სტენოგრამას: „დინამო": მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, ალთაბაევი, ხაზარაძე. „რეალი": ლუისი, როდრიგესი, სევილიანო, ჰაიტაუერი და მორისონი.

პირველი წუთი — ალთაბაევის ორი ზუსტი სროლა — 4:0. მესამე წუთი — 6:6 (ხაზარაძე, ლუისი, ჰაიტაუერი, როდრიგესი). მეხუთე წუთი — დაწინაურდა „რეალი" 12:8, მეცხრე წუთი — წინ გავიდა „დინამო" — 19:16, მეთერთმეტე წუთი — „რეალია" წინ ისევ — 21:20. პირველი ტაიმი — 38:36 „დინამოს" სასარგებლოდ.

მეორე ნახევარს „დინამო" ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით იწყებს: მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, ალთაბაევი, კილაძე. ჰაიტაუერი შესამჩნევად აქტიურობს, მაგრამ თბილისელები რამდენიმე სწრაფი შეტევით აღადგენენ წონასწორობას. 36-ე წუთი ამ შეხვედრაში კრიტიკული აღმოჩნდა — 83:70 „დინამოს" სასარგებლოდ. ასეთ უპირატესობას მაშინდელი ჩვენი გუნდი ხელიდან არ უშვებდა. ფინალურ მატჩს, რომელმაც პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა თბილისის „დინამოს", წერტილი მოსეშვილისა და ინწკირველის ტყორცნებმა დაუსვეს — 90:83. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ოთარ ქორქიამ საპატიო პრიზი ჟენეველ გულშემატკივართა ერთსულოვანი ტაშის გრიალში ჩაიბარა. თბილისის „დინამოს" ღირსებას ამ გათამაშებაში იცავდნენ: გ. მინაშვილი, ა. კილაძე, ი. ხაზარაძე, ლ. ინწკირველი, რ. გოგელია, ვ. ალთაბაევი, ა. სხიერელი, ვ. უგრეხელიძე, ა. ლეჟავა, ლ. მოსეშვილი და ა. პეტროვი, მწვრთნელი, როგორც აღვნიშნეთ, ოთარ ქორქია იყო.

კინო და ფოტო-მასალა ფინალურ მატჩზე, სავსებით გასაგები მიზეზის გამო (შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე ჟენევაში ჩატარდა) არ არსებობს, მაგრამ თბილისის დოკუმენტური ფილმების სტუდიის კინოფირზე აქვს აღბეჭდილი იმ შეხვედრების ფრაგმენტები, რომლებიც თბილისში გაიმართა. ეს ფრაგმენტები დამოუკიდებელ სიუჟეტებადაა ჩართული იმდროინდელ კინოჟურნალებში — „საბჭოთა საქართველო".

თბილისში გამარჯვებულთა დახვედრა საგანგებოდ იციან. სიხარულსაც დაუფარავად გამოხატავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ სიხარულს საფუძვლად დიდი სიამაყის გრძნობა უდევს. აი, ასე შეხვდა დედაქალაქი ჟენევიდან გამარჯვებით დაბრუნებულ თბილისელებს.



# გიწვევთ კონკურსზე!

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი საიუბილეოა. თბილისში 50-ე ჩემპიონატის პირველი მატჩი გაიმართება 10 მარტს, როცა ჩვენი „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლებს. **სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექცია აცხადებს კონკურსს ამ მატჩის პროგრამის შესადგენად.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა გაითვალისწინონ საფეხბურთო პროგრამის გარეკანის ორიგინალობა, ტექსტობრივი და ფოტომასალის რაოდენობა, განლაგება და ა. შ. მოწონებული გარეკანით გამოვა წლის მანძილზე დაგეგმილი სხვა მატჩების პროგრამებიც.

ნამუშევრებს განიხილავს საგანგებო ჟიური. გამარჯვებული მიიღებს „დინამოს“ სტადიონის 1987 წლის მუდმივ საშვს და ფეხბურთის ბურთს დინამოელთა ავტოგრაფებით. ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 1987 წლის 5 თებერვალი. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექციას. მისამართი: თბილისი, წერეთლის, 2. (ტელეფონები 95-21-62, 95-03-76).



## ევროპის საკლუბო ტურნირები

### დიდი შეჯიბრების [illegible]

**საახალწლო არდადეგების შემდეგ განახლდა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირები.**

**მილანი.** ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ორი ტურის შემდეგ ერთობ გაურკვეველი მდგომარეობა იყო შექმნილი. ოთხ გუნდს — კაუნასის „ჟალგირისს“, იტალიის „ტრაჩერს“, იუგოსლავიის „ზადარსა“ და ისრაელის „მაკაბის“ თითო გამარჯვება ჰქონდა, მადრიდის „რეალს“ — არცერთი. ლიდერობა კი, ყველასათვის მოულოდნელად, ხელთ იგდო საფრანგეთის „ორტეზმა“, რომელმაც შინ „ტრაჩერი“ დაამარცხა, სტუმრად კი „რეალს“ აჯობა.

მესამე ტურის მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იყო „ტრაჩერისა“ და „ჟალგირისის“ ორთაბრძოლა, რომელმაც წარმატება მილანელ კალათბურთელებს მოუტანა — 75:71 (40:27). შეხვედრის დამსწრე ყველა 9 ათასმა მაყურებელმა „ჟალგირისში“ საუკეთესო მოთამაშედ ხომიჩუსი დაასახელა. მან, სხვათა შორის, ყველაზე მეტი ქულა შესძინა თავის გუნდს — 23.

**მადრიდი.** პირველი ქულა აიღო „რეალმა“. ესპანელებმა აქტიურად ჩაატარეს შეხვედრა იუგოსლავიის „ზადართან“ და გაიმარჯვეს — 92:79 (47:33).

**პარიზი.** მესამე გამარჯვება მოიპოვა ლიდერმა — საფრანგეთის „ორტეზმა“. ამჯერად მან ტელ-ავივის (ისრაელი) „მაკაბის“ აჯობა — 78:77.

**კლუჟი** (რუმინეთი). ამავე რანგის ქალთა ტურნირში ადგილობრივმა „უნივერსიტატიამ“ წააგო შეხვედრა ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“ — 64:100 (35:43). საბჭოთა კალათბურთელებმა მეოთხედფინალურ ჯგუფში უკვე მესამე გამარჯვება მოიპოვეს.

**ბელგრადი.** ამავე ჯგუფის წარმომადგენელმა ადგილობრივმა „პარტიზანმა“ იტალიის „პრიმიჯის“ აჯობა — 104:62 (45:23). მორიგი მატჩი იტალიის ჩემპიონს ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“ ექნება. ეს შეხვედრა 12 იანვარს გაიმართება.

**ფერარა** (იტალია). ლილიან რონკეტის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „ფელისატი“ რიგის ტტტ-ს შეხვდა. საბჭოთა გუნდში ყველაზე აქტიური უ. სემიონოვა იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 25 ქულა შესძინა. გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 78:62 (43:36).

ორი მატჩის შემდეგ ჯგუფში, სადაც აღნიშნული გუნდების გარდა ბულგარეთის „კრემიკოვციც“ გამოდის, ლიდერობს რიგის ტტტ, რომელმაც ორივე შეხვედრა მოიგო.

## კალეიდოსკოპი

### გაიმარჯვა „სტად ტულუზენმა“

ახლახან საფრანგეთის ამჟამინდელი ჩემპიონის „სტად ტულუზენის“ თაოსნობით ტულუზაში ჩატარდა „მასტერსად“ წოდებული პირველი საერთაშორისო საკლუბო ტურნირი რეგბიში.

ბრიტანეთის ქვეყნების გარდა ძლიერი გუნდებით ცნობილმა თითქმის ყველა სახელმწიფომ წარგზავნა საასპარეზოდ თავისი წარმომადგენლები. სულ შეჯიბრებაზე რვა გუნდმა მოიყარა თავი. ტულუზელთა გარდა სარბიელზე გამოვიდნენ საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი „აჟენი“, იტალიის ჩემპიონატის ლიდერი, აქვილის უნივერსიტეტის გუნდი, არგენტინის ჩემპიონი „ბანკო ნასიონი“, რუმინეთის ჩემპიონი — კონსტანცის „ფარული“, ახალი ზელანდიის „ფონსონბი“, ბრისბენის (ავსტრალია) „ვესტსი“ და „ფიჯელი ბარბაროსები“ (ფიჯის ნაკრების ყოფილ წევრთაგან შედგენილი გუნდი). ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. მეოთხედფინალებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროთა წარმომადგენლები დაწყვილდნენ. საბოლოოდ გაიმარჯვა „სტად ტულუზენმა“, რომელმაც ზედიზედ სძლია არგენტინელებს (32:22), ავსტრალიელებს (27:3) და რუმინელებს (47:3, ფინალში). რუმინელებმა მეორე ადგილი დაიკავეს (მათ პირველ წრეში ახალზელანდიელებს სძლიეს — 21:15), მესამეზე კი გავიდნენ ავსტრალიელები, რომლებმაც ბოლო შეხვედრა „აჟენს“ მოუგეს — 17:12.

### აფრიკის თამაშებზე

36 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას აფრიკის სპორტსმენთა თამაშებში, რომელიც 1-12 აგვისტოს მოეწყობა კენიაში. ეს შეჯიბრება კონტინენტის პირველობაზე უკვე მეოთხედ იმართება.

### ჩივესი და ტაისონი

„უორლდ ბოქსინგ კონსილმა“, რომელიც ცნობილ ექსპერტებისაგან შედგება, 1986 წლის საუკეთესო მოკრივეებად დაასახელა მექსიკელი ჩივესი — მსოფლიო ჩემპიონი მსუბუქ წონაში და ამერიკელი ტაისონი, რომელიც ახლახან მსოფლიო ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში.

### საუკეთესოდ მიიჩნიეს

იუგოსლავიელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა გასული წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ცნობილი ხელბურთელი, იუგოსლავიის ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანი ვესელინ ვუიოვიჩი. შარშან იუგოსლავიელმა ხელბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

კალეიდოსკოპი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ვ. ლობანოვსკი დაჯილდოვდა **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 10 იანვარი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.15 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **10.05 (2)**; ჯანმრთელი რომ იყო — **20.45 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ცსკა — **21.15 (2)**; გიწვევთ ნიკოლოზ ოზეროვი — **22.40 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში: ნებისმიერი ცეკვები — **0.40 (1)**.

# რუბრიკის განახლება: „კვიმატი ობიექტივი“

სპორტულ ბატალიებში ხასიათთა ჭიდილსა და დინამიკის გარდა, არც თუ იშვიათია სიტუაციები, მაყურებლისა თუ მკითხველის ღიმილს რომ იწვევს — ვწერდით „ლელოს“ 1985 წლის 4 აგვისტოს ნომერში, როცა შემოგთავაზეთ ახალი რუბრიკის — „კვიმატი ობიექტივის“ პრემიერა. დღეიდან განვაახლებთ ამ რუბრიკას. თქვენს მიერ შერჩეული წარწერა ათი დღის ვადაში უნდა გამოაგზავნოთ მისამართით: თბილისი, 380096, ლენინის ქუჩა № 14, „ლელოს“ რედაქცია, კონკურსისათვის „კვიმატი ობიექტივი“.



რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი III-IV-V კურსის სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზამთრის საგამოცდო სესიები ტარდება ა/წ 18 იანვრიდან 7 თებერვლამდე.**

სტუდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ შრომის წიგნაკის ამონაწერი პროფილით მუშაობის შესახებ და დახასიათება. ის, ვისაც რომელიმე საგანში დავალიანება აქვს, გამოცდებზე არ დაიშვება.

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი

**გიორგი ლუკას ძე აფრიდონიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“. — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06714